

როველის პოლიტეკონომია

ეგნატე შამუგია¹

სუბსიდიები და განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში სამთავრობო დახმარება ის საკითხია, რომლისგანაც თავის დაღწევა, მაღალი პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, არცთუ ისე მარტივია. ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები, სუბსიდიებისა და ტრანსფერების საშუალებით, ამომრჩეველთა ხმების ყიდვას ცდილობენ.² ძალაუფლებაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტებს, როგორც წესი, ასეთი საშუალების დათმობა არ სურთ. საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით პოლიტიკური კეთილგანწყობის მოპოვების ერთ-ერთი საშუალება კი სოფლის მეურნეობის კონვენციური სუბსიდიებია, რაც მკვეთრად გამონათულია არადემოკრატიულ რეჟიმებში. მაგალითად, ავტორიტარულ რუსეთში ამ მიზნით გამოყენებულია სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დახმარებები.³

საქართველოში, ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია ყურძნის სუბსიდირება, რომელიც, სხვადასხვა მთავრობის პირობებში, ფართო ელექტორული მიზნებისთვის გადადგმული ნაბიჯების შედეგია. ბევრი ადამიანისთვის შემოსავლები ყურძნის რეალიზებას უკავშირდება და ღვინო, ადგილობრივი პროდუქციიდან, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საექსპორტო საქონელია. დამატებით, ისტორიული პერსპექტივიდან, ღვინო საკრალიზებულიც კი არის და შეიძლება ითქვას, პოზიციონირებს, როგორც ქვეყნის სავიზიტო ბარათი. ასეთი გარემოებები ხელსაყრელია მხარდაჭერის მაძიებელი პოლიტიკოსებისთვის, რათა სუბსიდიები გაზარდონ, ან მომავალში გაზრდის დაპირება გასცენ. მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სწორედ ყურძნის სუბსიდირებაა გაცილებით უკეთესი საშუალება, ვიდრე, მაგალითად, ფეიხოსას მოყვანა-რეალიზების საბიუჯეტო დახმარებები.

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: e.shamugia@ug.edu.ge

² Dahlberg, M., & Johansson, E. (2002). On the Vote-Purchasing Behavior of Incumbent Governments. *American Political Science Review*, 96(1), 27–40. <https://doi.org/10.1017/s0003055402004215> ; Dixit, A., & Londregan, J. (1996). The determinants of success of special interests in redistributive politics. *The Journal of Politics*, 58(4), 1132–1155. <https://doi.org/10.2307/2960152> ; Lindbeck, A., & Weibull, J. W. (1993). A model of political equilibrium in a representative democracy. *Journal of Public Economics*, 51(2), 195–209. [https://doi.org/10.1016/0047-2727\(93\)90084-7](https://doi.org/10.1016/0047-2727(93)90084-7) ; Cox, G. W., & McCubbins, M. D. (1986). Electoral politics as a redistributive game. *The Journal of Politics*, 48(2), 370–389. <https://doi.org/10.2307/2131098>

³ Kvartiuk, V., & Herzfeld, T. (2020). Redistributive politics in Russia: The political economy of agricultural subsidies. *Comparative Economic Studies*, 63(1), 1–30. <https://doi.org/10.1057/s41294-020-00131-2>

გარდა ამისა, ყურძნის სუბსიდირებისთვის ხელშემწყობი ფაქტორია დროის პერიოდი. რთველი შემოდგომაზე იმართება, საქართველოში კი არჩევნები სწორედ ამ პერიოდში ტარდება. რთველი და წინასაარჩევნო კამპანია თანადროულია. მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდშიც, რთველი პოლიტიკურ განცხადებებსა და გადაწყვეტილებებში მოექცა. მთავრობამ ყურძნის სუბსიდირების მასშტაბი გააფართოვა, ხოლო ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ერთობამ უფრო მეტი მოითხოვა.⁴

საქართველოში ყურძნის სუბსიდირებას კონვენციური ფორმა აქვს, რაც ყურძნის ფასების საბიუჯეტო მხარდაჭერას ნიშნავს. პირველი, ესაა გასაყიდი ყურძნის ფასის საბიუჯეტო დანამატი და მეორე, დაბალი ხარისხის (უვარგისი) ან ჭარბი ყურძნის შესყიდვა სახელმწიფო კომპანიების მიერ. ამგვარი მიდგომა ამახინჯებს საბაზრო პრინციპებს და აღუმებს ბაზრის სიგნალებს, რაც იწვევს ყურძნის ჭარბწარმოებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე მევენახის სტიმულების დათრგუნვას.

სუბსიდიის კონვენციური მიდგომა კი ქმნის ერთგვარ სპირალს, რომელიც უფრო და უფრო მეტ საბიუჯეტო რესურსს მოითხოვს. წარმოების სუბსიდირება მიზეზია ჭარბწარმოებისა, ესე იგი, იმ მოცულობის ან ხარისხის ყურძნის წარმოების, რომელიც მოთხოვნას ჩამორჩება. სუბსიდიით სტიმულირებული უფრო მეტი წარმოება უფრო მეტ საბიუჯეტო დახმარებას მოითხოვს.

არაერთმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობაში მაღალპროდუქტიულობას სწორედ იმით მიაღწია, რომ გასული საუკუნის მიწურულს მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. აღნიშნულ პერიოდამდე, სექტორის ზოგი მიმართულება სუბსიდირებული და სამთავრობო დახმარებებით გამორჩეული იყო, რაც ჭარბწარმოებისა და შემდეგში ფისკალური კრიზისის მიზეზი გახდა.⁵ შექმნილმა კრიზისმა კი მთავრობები აიძულა, შეეკვცათ, ან მთლიანად გაუქმებინათ არაერთი


⁴ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება: <https://publika.ge/kobakhidze-sakhelmwifo-kompania-saferavis-jishis-yurdzens-atamde-lokaciaze-lar-nakhevad-chaibarebs/>; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება: https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/videos/821929146456726/?locale=ka_GE

⁵ Cloke, P. (1989). State deregulation and New Zealand's agricultural sector. *Sociologia Ruralis*, 29(1), 34–48. <https://doi.org/10.1111/j.1467-9523.1989.tb00354.x>; Edwards, G. W. (2003). The story of deregulation in the dairy industry. *Australian Journal of Agricultural and Resource Economics*, 47(1), 75–98. <https://doi.org/10.1111/1467-8489.00204>; Anderson, K. & A. Valdés (2008), *Distortions to Agricultural Incentives in Latin America*, World Bank, Washington DC, <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/6604>; <https://doi.org/10.1111/j.0080-6757.2005.00123.x>; Boulanger, P., & Philippidis, G. (2015). The EU budget battle: Assessing the trade and welfare impacts of CAP budgetary reform. *Food Policy*, 51, 119–130. <https://doi.org/10.1016/j.foodpol.2015.01.004>

ტრადიციული ტიპის სასოფლო-სამეურნეო დახმარება, რამაც ხელი შეუწყო სექტორის პროდუქტიულობის ზრდას.⁶

საქართველოში ყურძნის წარმოების სიჭარბე აშკარად გამოკვეთილია. ბოლო წლებში, სუბსიდიების გაფართოებასთან ერთად, ყურძნის მოსავალი მომატებულია (იხ. გრაფიკი 1). ამავე პერიოდში, ვენახთან (ადგილზე ჩაბარება) ყურძნის ფასი (სუბსიდიის გარეშე, საბაზრო ფასი) მკვეთრად არ შეცვლილა.⁷ ამრიგად, ყურძნის გაზრდილი წარმოება ნაკლებად უკავშირდება მასზე მოთხოვნის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

გრაფიკი 1: ყურძნის წარმოება საქართველოში, ათასი ტონა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, ყურძნის ჭარბწარმოების ფაქტორი პოლიტიკურია, რაც ელექტორული მიზნებით არის განპირობებული, კერძოდ, პოლიტიკური კეთილგანწყობის მოპოვებით, რისთვისაც სუბსიდიები გამოიყენება. სუბსიდია კი გულისხმობს რესურსების რედისტრიბუციას

⁶ Sheng, Y., Jackson, T., & Gooday, P. (2015). Resource reallocation and its contribution to productivity growth in Australian broadacre agriculture. *Australian Journal of Agricultural and Resource Economics*, 61(1), 56–75. <https://doi.org/10.1111/1467-8489.12137>; Sheng, Y., Chancellor, W., & Jackson, T. (2019). Deregulation reforms, resource reallocation and aggregate productivity growth in the Australian dairy industry. *Australian Journal of Agricultural and Resource Economics*, 64(2), 477–504. <https://doi.org/10.1111/1467-8489.12351>; Rizov, M., Pokrivčák, J., & Ciaian, P. (2013). CAP subsidies and productivity of the EU farms. *Journal of Agricultural Economics*, 64(3), 537–557. <https://doi.org/10.1111/1477-9552.12030>; Garrone, M., Emmers, D., Lee, H., Olper, A., & Swinnen, J. (2019). Subsidies and agricultural productivity in the EU. *Agricultural Economics*, 50(6), 803–817. <https://doi.org/10.1111/agec.12526>

⁷ სუბსიდიის გარეშე, 2014-2023 წლებში ყურძნის საშუალო ფასი 1.1 ლარი იყო. 2023 წელს კილოგრამი ყურძნის საშუალო ფასი 1.3 ლარს შეადგენდა.

სხვა წარმატებული სექტორიდან ნაკლებად პროდუქტიული და ეფექტიანი ყურძნის წარმოებაში. ეკონომიკაში რესურსების არაეფექტიანი ალოკაცია საზოგადოების კეთილდღეობას ამცირებს. ამდენად, პოლიტიკური დივიდენდების მაძიებელი პოლიტიკოსების ვიწროპარტიულ მიზნებს ეწირება მთლიანი საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.